საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

03/09/2025

MES 8 25 0001065059

გადაწყვეტილება

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „განათლების მეცნიერებების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-8 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „სრულად ან/და მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27^5-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. „აკრედიტაციის დებულების“ 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან” და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან ან „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 05 ივნისის №627407 ბრძანების საფუძველზე, განხორციელდა დაწესებულების ,,პროფესიული განათლება და ადამიანური რესურსების განვითარების" ინგლისურენოვანი სამაგისტრო, "პროფესიული განათლების" ინგლისურენოვანი სადოქტორო და "განათლების მეცნიერებების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შეფასება.

2.2 საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.3 სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება, კერძოდ:

ა) აკრედიტაციის საბჭომ 1.1 კომპონენტში ამოიღო რეკომენდაცია:

"რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა რეგულარულად ჩაატაროს პროგრამის მტკიცებულებებზე დაფუძნებული ბენჩმარქინგი. გარდა ამისა, პროგრამა პერიოდულად უნდა ექვემდებარებოდეს გარე შეფასებებს დარგის პროფესიონალების მიერ, რათა დადასტურდეს მისი შესაბამისობა და რეაგირების უნარი საგანმანათლებლო და შრომის ბაზრის ცვალებად საჭიროებებზე." აღნიშნული კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

ბ) აკრედიტაციის საბჭომ 1.5 კომპონენტში ამოიღო რეკომენდაცია:

„რეკომენდებულია სილაბუსების გადახედვა და სილაბუსებში შეტანილი შეფასების კრიტერიუმების გამჭვირვალეობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.“

გ) საბჭომ 1.5 რეკომენდაცია დაგაიტანა რჩევად:

„რეკომენდებულია, სილაბუსების გადახედვა და წიგნების, ასევე სტატიების/პუბლიკაციების ახალი გამოცემების ინტეგრირება (სადაც შესაძლებელია).“ აღნიშნული კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. აღნიშნულმა გამოიწვია სტანდარტის ცვლილება და ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

დ) აკრედიტაციის საბჭომ 2.4 კომპონენტში დაამატა კლასტერული რეკომენდაცია და ჩამოყალიბდა შემდეგი სახით:

„რეკომენდებულია სილაბუსების გადახედვა და შეფასების კრიტერიუმების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N3 ბრძანებასთან შესაბამისობაში მოყვანა.“ აღნიშნული კომპონენტი ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. აღნიშნულმა არ გამოიწვია სტანდარტის ცვლილება.

ე) აკრედიტაციის საბჭომ 5.2 კომპონენტში დაამატა კლასტერული რეკომენდაცია და ჩამოყალიბდა შემდეგი სახით:

"პროგრამა პერიოდულად უნდა ექვემდებარებოდეს გარე შეფასებებს დარგის პროფესიონალების მიერ, რათა დადასტურდეს მისი შესაბამისობა და რეაგირების უნარი საგანმანათლებლო და შრომის ბაზრის ცვალებად საჭიროებებზე." აღნიშნული კომპონენტი ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „მეტწილად

შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. აღნიშნულმა გამოიწვია სტანდარტის ცვლილება და ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.“

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებული ,,განათლების მეცნიერებების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2032 წლის 18 აგვისტომდე.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ,,პროფესიული განათლება და ადამიანური რესურსების განვითარების" ინგლისურენოვანი სამაგისტრო, "პროფესიული განათლების" ინგლისურენოვანი სადოქტორო და "განათლების მეცნიერებების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2025 წლის 3 სექტემბრის სხდომის №1065040 ოქმის № 03 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
4. დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია პროგრამაში დაემატოს საგანი „აკადემიური წერა“ (არჩევითი კურსის სახით მაინც). გარდა ამისა, რეკომენდებულია არჩევით კურსების ბლოკში შევიდეს ინგლისური ენის B2/1 და B2/2 დონის კურსები;
- რეკომენდებულია პროგრამაში დაემატოს საგანი, რომელიც დაეთმობა ხელოვნური ინტელექტის გამოყენებას განათლებაში;
- რეკომენდებულია სილაბუსების გადახედვა და შეფასების კრიტერიუმების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N3 ბრძანებასთან შესაბამისობაში მოყვანა;
- რეკომენდებულია პროგრამის პერსონალსა და შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შორის თანამშრომლობის ხელახლა გააქტიურება და ფორმალიზება, განსაკუთრებით განათლების მეცნიერებების სამაგისტრო პროგრამისთვის, რათა ხარისხის უზრუნველყოფის აქტივობები იყოს თანმიმდევრული, უწყვეტი და „დაგეგმე განახორციელე-შეამოწმე-იმოქმედე“(PDCA) მოდელის შესატყვისი;

- რეკომენდებულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გაძლიერება, განსაკუთრებით განათლების მეცნიერებების პროგრამაში - უკუკავშირის პროცესებში დამსაქმებლების, კურსდამთავრებულებისა და სტუდენტების სისტემატური ჩართვით; შემდეგ კი მიღებული ინფორმაცია გამოყენებულ იქნას პროგრამის გაუმჯობესებისთვი გადაწყვეტილებების მიღებისას;
- პროგრამა პერიოდულად უნდა ექვემდებარებოდეს გარე შეფასებებს დარგის პროფესიონალების მიერ, რათა დადასტურდეს მისი შესაბამისობა და რეაგირების უნარი საგანმანათლებლო და შრომის ბაზრის ცვალებად საჭიროებებზე.

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2025 წლის 18 აგვისტოდან.
6. საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვროს ერთი წელი - 2026 წლის 18 აგვისტომდე.
7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) კანონმდებლობის შესაბამისად დაწესებულებისთვის გაცნობის დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
წევრი
ელიზბარაშვილი ელიზბარ

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის მდივანი
დურული ციური

თავმჯდომარე
ლევან შავაძე

ს. შავაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა
ზუსტი ასლი
ელექტრონული